„მარადღ და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა!..“
ილია ჭავჭავაძე

ქართველები

Georgians in USA

ამერიკის შეერთებულ შტატებში

№ 1 დეკემბერი . 2023 წელი



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მიმართვა ქართული დიასპორისადმი

ჩვენო სულიერო შვილებო, საზღვარგარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო, კურთხევა უფლისა თქვენ ზედა მისითა მადლითა და კაცთმოყვარეობითა, ყოვლადვე, აწ და მარადის და უკუნისამდე, ამინ!

კიდევ ერთი წელი შეემატა ჟამთა სვლას და დღეს, საქართველოს დამოუკიდებლობის ზეიმის ფარგლებში, ყველა კვლავ გამორჩეული სიყვარულით გხვდებათ, რადგან თქვენ სამშობლოს განუყოფელი ნაწილი, ჩვენი ფიქრი და ტკივილი ხართ, ამასთან, – იმედიც, რადგან მრავალი ოჯახის ფიზიკური არსებობა თქვენი შრომის შედეგია. თუმცა, უცხოეთში თქვენი მყოფობისას ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის არის, რომ თქვენს შვილებს, ჩვენს მომავალ თაობას, ქართული ენა, ქართული სული, ჩვენი ტრადიციები და წეს-ჩვეულებები შეუნარჩუნოთ. აღვნიშნავ იმასაც, რომ საზღვარგარეთ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, შესაძლებლობისამებრ ამ მიზანდასახულობითაც იღვწის, მაგრამ მშობლების როლი არსებითია.

მუდამ გახსოვდეთ და პატარებსაც ჩაუნერგეთ, რომ თქვენ ჩვენი ერის სახე ხართ და თქვენი მყოფობის ადგილზე თითოეული თქვენგანი საქართველოს წარმოადგენს.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ.

ღმერთმა დალოცოს საქართველო და ყველა ის ქვეყანა, სადაც თქვენ და ჩვენი სხვა თანამემამულენი ამჟამად ცხოვრობთ.

ინებოს ყოვლადწმინდა სამებამ, რომ სამშობლოში დაბრუნება მალე შეძლოთ.

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი ილია II - სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

თბილისი. 2023 წელი

„ქართულ-ამერიკული მემკვიდრეობის დღეები“ ნიუ იორკში 3

პირველად ამერიკის შეერთებულ შტატებში: ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“ ქართულ ენაზე

ქართული ცეკვა და მუსიკა უკვდავია

„შორენას სტუდიიდან“ „ფესვებამდე“ 5

DANCING CRANE – ვიქტორ და ლიკა სირელსონების ქართული ოაზისი

დარეჯან ფერაძე: მრავალ ახალ წელს, ქართველებო!

6

მანო მიქაძის პატარა ბალერინები Ballet House NY-დან

2